ვინც სურა ალ-ბაყარას ბოლო ორ აიათს წაიკითხავს, მისთვის საკმარისი იქნება ღამის განმავლობაში

აბუ მას'უდისგან გადმოცემულია, რომ მან თქვა: თქვა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას): «ვინც სურა ალ-ბაყარას ბოლო ორ აიათს წაიკითხავს, მისთვის საკმარისი იქნება ღამის განმავლობაში».
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ვინც წაიკითხავს ბოლო ორ აიათს სურა ალ-ბაყარადან ღამეში ალლაჰის ნებით მისთვის საკმარისი იქნება ბოროტებისგან და ცუდისგან დასაცავად, ასევე ითქვა: მისთვის ღამის ლოცვის მსგავსი იქნება, ასევე ითქვა: მისთვის ღამეში წასაკითხი სხვა საკითხავების ტოლფასი იქნება, ასევე ითქვა: რომ ეს ორი აიათი არის ყველაზე მცირე ნაწილი ყურანიდან წასაკითხი რაზეც ჯილდოს მიიღებს, და ასევე სხვა მოსაზრებებიც არსებობს. ალბათ ეს ყველა ერთად სწორია, რადგან ჰადისის შინაარსი მათ ყველას ერთად მოიცავს.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/6274

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee